

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სოფ. ნაგომრის
მაჟორიტარი დეპუტატის ჯემალ თავართქილაძის მიერ 2018 წელს
გაწეული საქმიანობის შესახებ**

ა ნ გ ა რ ი შ ი

მოგესალმებით ბატონო თავმჯდომარე, კოლეგებო და ძვირფასო ამომრჩევლებო... წინამდებარე ანგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექს ს 88-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ვეყრდნობოდი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით საკრებულოს წევრისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს. საკრებულოს წევრი გავხდი პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წარდგინებით.

2018 წელს მონაწილეობა მივიღე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში, რომელზედაც მიღებული იქნა 60-ნორმატიულ სამართლებრივი აქტი - დადგენილება და 91 -ინდივიდუალური აქტი განკარგულება.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას განხორციელებდი საკრებულოს 2 -რ მუდმივმოქმედ კომისიებში:

1. განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა.
2. აგრარულ საკითხთა,ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია.

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი. დავესწარი კომისიების სხდომებს 42-ჯერ და ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს 11 სხდომას.

მონაწილეობა მივიღე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებში, სულ 3 შეხვედრაში.

როგორც საკრებულოს წევრს შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) თოველთვიური გრაფიკის შესაბამისად, (17 შეხვედრა). ასევე ყოველთვიური გრაფიკით დაგეგმილი მიღებები სოფელ ნაგომარში (23-ჯერ). მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურას. რაც ჩემს კომპეტენციას განეკუთვნებოდა დაკმაყოფილდა. სოფელ ნაგომარში 3 ოჯახში დაიხურა დაზიანებული სახლის სახურავი,რამოდენიმე კი გარემონტდა.

საჭიროებისამებრ მოიხრეშა გზები,(ნაგომრის მე-8-ე უბანი) ,დაემატა სანაგვე ურნები. მოქალაქეებს გაეწიათ ერთჯერადი ფულადი მედიკამენტური და საოპერაციო დახმარება.

აქტიურად ვიყავი ჩართული საკრებულოს მიერ მისაღებ სამართლებრივ აქტების განხილვა-დამტკიცებაში კერძოდ:

--- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების. ---
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახურის დებულების.

--- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემის და მიღების წესის დებულების.

აგრეთვე, საკრებულოს სხვადასხვა მიღებულ განკარგულება/დადგენილებებში რომლიც აისახება ჩემს მიერ საკრებულოს, კომისებსა და ფრაქციის სხდომებზე დასწრებით.

მე როგორც საკრებულოს წევრი გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას საქართველოს პარლამენტში ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და სოფლის ამომრჩევლებთან, რათა 2019 წელი უფრო წარმატებული გახდეს სოფ. მერიისა და მისი ყველა მცხოვრებლისთვის.

მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს ყველა წევრს აქტიური თანამშრომლობისათვის და საკრებულოს აპარატს.

საკრებულოს წევრი

სოფელ ნაგომრის მაჟორიტარი

ჯემალ თავართქილაძე

20.02.2019 წელი